სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N210344423
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	12.04.2021 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	ლანა მაჭავარიანი
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. N1, სადარბაზო IV, სართული 2
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	(+995) 595 10 16 08
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	96193870662421

მე ნოტარიუსს ლანა მაჭავარიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს, მისამართზე ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. N1, სადარბაზო IV, სართული 2, მომმართა პავლე რეხვიაშვილმა მან წარმოადგინა 12.04.2021 წ. თანხმობა ერთ ეგზემპლარად და მოითხოვა მასზე თავისი ხელმოწერის ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება.

მე. დავადგინე მისი პირადობა, მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი მოწმობით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად პავლე რეხვიაშვილმა(დაბ. 15.10.1981წ. პ/ნ 01012016651, რეგისტრირებული მისამართზე: ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, I მიკრო/რაიონი, კორპუსი 14, ბინა 23) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე ნოტარიუსმა განვუმარტე განმცხადებელს, რომ არ ვიღებ პასუხისმგებლობას თანხმობაში მოყვანილ ფაქტებზე და მის სამართლებრივ შედეგებზე. შემდეგ დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, განვუმარტე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, რის შემდეგაც განაცხადა რომ წარმოდგენილი თნხმობა ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით მოაწერა ხელი წინამდებარე თანხმობას.

გადახდილია სანოტარო მომსახურეობის საზღაური (წინამდებარე თნხმობის 1(ერთ) ეგზემპლარზე შესრულებული 1 (ერთი) ხელმოწერის დამოწმებისათვის) 2 (ორი) ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება N507-ის 31-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასურის 2 (ორი) ლარი (თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის დადგენილება N507-ის 39-ე მუხლისა):- სულ გადახდილია 4 (ოთხი) ლარი და 00 თეთრი

ნოტარიუსი ---------- /ლანა მაჭავარიანი/

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

იჯარის ხელშეკრულება

ქ. თბილისი 18 მარტი, 2021 წ.

ერთი მხრივ, **შპს „დინამო არენა“ (ს/კ: 401961579)**, შემდგომში **“მეიჯარედ“** წოდებული, წარმოდგენილი **დირექტორის ვიტალი გულორდავას** (პ/ნ 62007001693) სახით და მეორე მხრივ, **ფ/პ პაველ რეხვიაშვილი** (პ/ნ 01012016651) , შემდგომში **“მოიჯარედ“** წოდებული, ორივე ერთად კი, **”მხარეებად”** წოდებულნი, ვეხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. “მეიჯარე“ იჯარით გასცემს, ხოლო “მოიჯარე“ დროებით სარგებლობაში, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით იჯარით იღებს “მეიჯარის“ კუთვნილ ქონებას, რომელიც მდებარეობს: **ქ. თბილისში, წერეთლის გამზირი №2 ა მისამართზე /საკადასტრო კოდი 01.13.07.019.027 შენობა-ნაგებობა №70/1 - 59 კვ.მ. (შემდგომში “ობიექტი”).**

1.2. “ობიექტი” “მოიჯარემ” უნდა გამოიყენოს კანონით ნებადართული საქმიანობის განხორციელების მიზნით, რაც გულისხმობს „ობიექტის“ გამოყენებას სავაჭროდ. “მოიჯარეს” უფლება აქვს „მეიჯარესთან“ შეთანხმებით “ობიექტი” გამოიყენოს კანონით აუკრძალავი სხვა ნებისმიერი საქმიანობის განხორციელების მიზნით.

1.3. მხარეები გარანტიას იძლევიან, რომ უფლებამოსილნი არიან გააფორმონ წინამდებარე ხელშეკრულება და იკისრონ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

2. ობიექტის უფლებრივი და ნივთობრივი უნაკლოების შესახებ

2.1. ”მეიჯარე” ადასტურებს, რომ წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების დღისთვის ობიექტი არ არის გადაცემული მესამე პირისათვის წერილობითი ან ზეპირი გარიგებით სარგებლობის (ქირავნობის, იჯარის ან სხვა მსგავსი ხასიათის) უფლებით, მასზე რეგისტრირებული არ არის ყადაღა ან/და საგადასახადო გირავნობა.

2.2. “მოიჯარე” ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია ობიექტის მდგომარეობა და მისაღებია ობიექტის ხარისხი, იმ სახით, რა სახითაც ობიექტი არსებობს წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებისას;

2.3. მხარეებმა განაცხადეს, რომ საიჯარო ქირის ოდენობაზე შეთანხმება მოხდა ობიექტის მდგომარეობის გათვალისწინებით;

3. ობიექტის გამოყენება

3.1. “მოიჯარე” ვალდებულია ნებისმიერ დროს მხოლოდ ისე გამოიყენოს “ობიექტი”, როგორც ეს გათვალისწინებულია წინამდებარე ხელშეკრულებით.

3.2. კომერციული მიზნით გამოყენების ფარგლებში „მოიჯარე“ უფლებამოსილია „ობიექტზე“ განათავსოს „მოიჯარის“ დასახელებისა და მისი სამეწარმეო საქმიანობის შესაბამისი სავაჭრო ნიშანი, აბრა, სარეკლამო ბანერი, ასევე თავისი შეხედულებისამებრ მოაწყოს „ობიექტის“ ინტერიერი. „ობიექტის“ გარე ფასადის გამოყენება ამ მუხლით გათვალისწინებული მიზნებისათვის დამატებით საჭიროებს „მეიჯარის“ თანხმობას.

მეიჯარე

მოიჯარე

თ ა ნ ხ მ ო ბ ა

პავლე რეხვიაშვილი (დაბ. 15.10.1981წ. პ/ნ 01012016651, რეგისტრირებული მისამართზე: ქალაქი თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, I მიკრო/რაიონი, კორპუსი 14, ბინა 23) თანახმა ვარ რომ ნატო ალფაიძემ (პ/ნ 01010013199) თავისი შეხედულებისამერ მოახდინოს შპს „ დინამო არენა“-ს (ს/კ 401961579) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაზე მდებარე: ქ. თბილისი წერეთლის გამზირი N2ა, (ს/კ 01.13.07.019.027) გარე ფასადის ცვლილება და სარეკლამო აბრის განთავსება.

პავლე რეხვიაშვილი

თარიღი: 12.04.2021წ.